

**სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების პლატფორმა
„თანამშრომლობა ბიუჯეტის გამჭვირვალობისთვის“**

სამუშაო შეხვედრის ოქმი

2017 წლის 4 ივლისი

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. ამირან გიგინეიშვილი, საქართველოს სასოფლო დარბაზი (GRC)
2. ბესიკ ნამჩავაძე, საქართველოს რეფორმების ასოციაცია (GRASS)
3. იოსებ ბუაძე, იძულებით გადაადგილებულ პირთა საზოგადოება „იმედი“
4. კახა დაუშვილი, საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია (საეა)
5. კობა ნადირაძე, პარტნიორობა ადმიანის უფლებებისთვის
6. მიხეილ კუკავა, პი ემ სი კვლევითი ცენტრი (PMCG)
7. სიმონ გაბრიჩიძე, Welfare Foundation
8. სულხან სალაძე, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (საია)
9. ნათია მელაძე, ევროპის ფონდი
10. ლელა ბერძული, ევროპის ფონდი

შეხვედრის დასაწყისში, ევროპის ფონდის პროგრამის მენეჯერმა, ნათია მელაძემ, პლატფორმის წევრებს მოკლედ შეახსენა პლატფორმის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ და პლატფორმის წესდებაში შესატანი ცვლილებების პროექტი წარუდგინა. პლატფორმამ შემდეგ შეთანხმებებს მიაღწია:

- პლატფორმის თავმჯდომარისა და მოადგილის არჩევნები ამ ეტაპზე არ ჩატარდეს და შესაბამისი უფლებამოსილება გაუგრძელდეს ევროპის ფონდს (თავმჯდომარე) და საეა-ს (მოადგილე);
- პლატფორმის შეხვედრების სიხშირე განისაზღვროს წელიწადში ორი შეხვედრით, ნაცვლად ექვსისა; დამატებით, პლატფორმის წევრებს მიეცეთ შესაძლებლობა, საჭიროებისამებრ წამოაყენონ რიგგარეშე შეხვედრის დანიშვნის საკითხი, პლატფორმის მმართველი კომიტეტისთვის წერილობითი მიმართვის საფუძველზე;
- პლატფორმის მმართველი კომიტეტის შეხვედრების სიხშირე განისაზღვროს კვარტალში ერთი შეხვედრით.

მეორე საკითხად სამუშაო ჯგუფმა განიხილა სახელმწიფო სექტორის ფინანსური მართვის რეფორმის სტრატეგიის განხორციელების საკოორდინაციო საბჭოს ახალი ფორმატის ინსტიტუციონალიზაციისთვის შესათავაზებული საკანონმდებლო ცვლილებები. პლატფორმა შეთანხმდა ფინანსთა მინისტრის #261 ბრძანებაში მუხლი 5-ის ჩამატებაზე, რომელიც შესაძლებლობას მისცემს საბჭოს არაწევრ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს, წარმოდგენილი იყვნენ საბჭოს შეხვედრებში. დამატებით, ბრძანებაში შესატანი ცვლილებები საბჭოს დაავალდებულებს, წელიწადში მინიმუმ ორჯერ, ბიუჯეტის დაგეგმვისა და შესრულების ანგარიშის წარდგენის ეტაპებზე, მოიწვიოს გაფართოებული სხდომა (ფორუმი) სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით. ამავდროულად, აღინიშნა, რომ უმჯობესი იქნება ფინანსთა სამინისტროს მაქსიმალურად რეალისტური ცვლილებები წარედგინოს, რაც სამინისტროს მიერ მათი გათვალისწინების შანსს გაზრდის.

მომდევნო საკითხად პლატფორმის წევრებმა პლატფორმის სამომავლო გეგმები განიხილეს. პლატფორმის წევრებმა ხაზი გაუსვეს პარტნიორული ინიციატივების

განხორციელების მნიშვნელობას. შეთანხმებისამებრ, შემდეგ შეხვედრაზე, რომელიც 2017 წლის შემოდგომაზე იგეგმება, პლატფორმის წევრები წარადგენენ შესაბამის რეგიონებსა და მათი საქმიანობის სფეროში არსებულ აქტუალურ საკითხებს, რომელთა მოგვარება მიზანშეწონილია პლატფორმის ერთიანი ძალისხმევით, სამოქალაქო მონიტორინგისა და ადვოკატირების მეშვეობით.

შემდეგ საკითხად პლატფორმამ PMCG-ის მიერ მომზადებული პოლიტიკის დოკუმენტები განიხილა: 1) [მოქალაქეთა ჩართულობა საბიუჯეტო პროცესში](#); 2) [აუდიტის სამსახურის საზოგადოებასთან კომუნიკაციის გაუმჯობესება](#); და 3) [გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების გაზრდა შესყიდვებში](#).

პლატფორმის წევრებმა ადგილობრივ დონეზე საბიუჯეტო პროცესებში მოქალაქეთა ჩართულობაზე გაამახვილეს ყურადღება და აღნიშნეს, რომ საბიუჯეტო პროცესში მოქალაქეთა ჩართულობა ერთ-ერთი პრიორიტეტული საკითხია, რაც სახელმწიფო ფინანსების მართვის რეფორმის განხორციელების საკოორდინაციო საბჭოს წინაშე უნდა დადგეს, პირველივე გაფართოებულ შეხვედრაზე. ამ მიმართულებით პლატფორმის წევრებმა შემდეგი პრობლემები დაასახელეს:

- მიუხედავად იმისა, რომ საქართველო 2012 წელს პროგრამულ ბიუჯეტირებაზე გადავიდა, ადგილობრივ დონეზე პროგრამული ბიუჯეტირება რეალურად არ ხდება;
- ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტში, სამინისტროს განსაზღვრული აქვს მხოლოდ 4-წლიანი პროგრამები, ხოლო ქვეპროგრამები (მაგ. ერთწლიანი პრიორიტეტები) არ არის დაკონკრეტებული;
- საბიუჯეტო პროცესებში მოქალაქეთა ჩართულობის პრობლემა ყველგან აღინიშნება;
- მოქალაქეებს უჭირთ ბიუჯეტის ტექნიკური დოკუმენტების აღქმა; ამიტომ საჭიროა ვიზუალიზაციის გამოყენება, რომ ბიუჯეტი მარტივად 'წასაკითხი' იყოს.

პლატფორმის წევრების აზრით, აღნიშნულ პრობლემის შესაძლო გადაჭრის გზებია:

- ბიუჯეტის პოპულარული ვერსიების შემუშავება, სადაც დეტალურად იქნება ასახული ყოველწლიური პრიორიტეტები და შესაბამისი ინდიკატორები;
- ერთობლივი ვიზიტების განახორციელება ისეთ მუნიციპალიტეტებში, რომლებშიც მოქალაქეთა საბიუჯეტო პროცესებში მონაწილეობის წარმატებული პრაქტიკა არსებობს და ამ მაგალითებზე დაყრდნობით, სატრენინგო მოდულების შემუშავება სსო-ებისა და მედიისთვის (მაგ. დასავლეთ საქართველოში უკეთესი პრაქტიკა არსებობს ბათუმში, ხოლო აღმოსავლეთში - თბილისში).
- დასახლებათა კრებების ინსტიტუციონალიზირების ხელშეწყობა და ამ გზით საბიუჯეტო მონიტორინგის ეფექტური ინსტრუმენტის ჩამოყალიბება.

შეხვედრის მონაწილეებმა ასევე განიხილეს ადგილობრივ დონეზე ბიუჯეტის გამჭვირვალობის შეფასებისა და მონიტორინგის ერთიანი მეთოდოლოგიის არსებობის მნიშვნელობის შესახებ, მათ შორის, უკვე არსებული მექანიზმის - PEFA-ს ადგილობრივ დონეზე დანერგვის საკითხი. პლატფორმის წევრები შეთანხმდნენ, რომ მნიშვნელოვანია, მუნიციპალიტეტებში ინსპექტირების პრაქტიკა ჩანაცვლდეს გამჭვირვალე და მიუკერძოებელი შიდა აუდიტით. როგორც აღინიშნა, ამ მიმართულებით შესაძლოა, პლატფორმამაც გააერთიანოს ძალისხმევა და შესაბამისი ცვლილებების ადვოკატირება განახორციელოს.

შეხვედრის ბოლოს, ნათია მელაძემ, ევროპის ფონდის პროგრამის მენეჯერმა, პლატფორმის წევრებს ბიუჯეტის მონიტორინგის ვებ პლატფორმა (www.budgets.epfound.ge) წარუდგინა, რომელიც ევროპის ფონდმა პოლონელ პარტნიორთან - TechSoup-თან ერთად შექმნა, და ვებგვერდის ფუნქციებზე ისაუბრა, რაც სამოქალაქო საზოგადოებას საბიუჯეტო ხარჯების მონიტორინგში შეუწყობს ხელს.